

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: სკანდინავიური ფილოლოგია / Scandinavian Philology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი / BA in Philology

სპეციალობა სკანდინავიური ფილოლოგია

Speciality: Scandinavian Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი).

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- **120 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- **60 ECTS კრედიტის** ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტებზე. დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტი გამოიყენოს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისთვის სასურველი საბაკალავრო სასწავლო კურსის შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე). დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია აგრეთვე გაიღრმავოს უცხო ენის დონე (კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა 40 ECTS კრედიტი);
- **10 ECTS კრედიტი** განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 ECTS კრედიტის (50 +120) შესრულება.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **სკანდინავიური ფილოლოგიის** საბაკალავრო ძირითადი პროგრამის **120 ECTS** კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტს, ანუ საბაკალავრო ნაშრომს, შორის შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა **110 ECTS** კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს) - **10 ECTS** კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის **110 ECTS** კრედიტიდან **20 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ე.წ. საკომპეტენციო კურსებისათვის (იგულისხმება ძირითადი ფილოლოგიური კომპეტენციები), **70 ECTS** კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, **20 ECTS** კრედიტი – სპეციალობის არჩევით საგნებს.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, შეასწავლოს სტუდენტს სკანდინავიური ენები (ნორვეგიული როგორც ძირითადი და შვედური როგორც მეორე ენა) და ლიტერატურა, მისცეს ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, გამოუმუშაოს პროგრამის განმავლობაში შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები; ფილოლოგიის დარგში ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე მოამზადოს კადრი სკანდინავიურ ფილოლოგიაში, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას. პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ფილოლოგიაში, კერძოდ კი, სკანდინავიურ ფილოლოგიაში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო ფილოლოგიური და სკანდინავისტური სასწავლო თუ კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე იზრდება ინტერესი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი და მრავალმხრივი პოტენციალი. სასწავლო პროგრამები სკანდინავიური ფილოლოგიის (ისევე როგორც, საზოგადოდ, სკანდინავისტიკის) სფეროში არსებობს მსოფლიოს მრავალ და ევროპის თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სკანდინავიის მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს, გეოგრაფიულად ასევე განაპირა, ევროპულ და მცირერიცხოვან ქვეყანაში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. პროგრამის დასრულების შედეგად ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი შეიძენს შესაბამის ფილოლოგიურ და ზოგადჰუმანიტარულ კომპეტენციათა ერთობლიობას. მას გამოუმუშავდება თეორიული თუ პრაქტიკული ფილოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევები. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა

და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ. სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ფილოლოგიის, არამედ სხვა ჰუმანიტარულ და, აგრეთვე, მიმართულებათშორისი დარგების პროფილით სწავლის გაგრძელების კარგი პერსპექტივა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

სწავლის შედეგი:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

კურსდამთავრებულმა იცის: ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები. საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში; აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები; რომელიმე (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით); ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები; ლიტერატურის თეორიის საფუძვლები; ლინგვისტური კომპარატივისტიკის ძირითადი თეორიები და პრინციპები, ინდოევროპულ ენათა შედარებითი ენათმეცნიერების საფუძვლები; თარგმანთმცოდნეობის ძირითადი თეორიები და პრინციპები, თარგმანის მეთოდები; **ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე;** ერთ-ერთი აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით); მსოფლიოს (ევროპის) ერთ-ერთი ქვეყნის ლიტერატურის. განვითარების ძირითადი ეტაპები, ჟანრები, მნიშვნელოვანი ავტორები და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები (არჩევით);

პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს აქვს ფილოლოგიის, როგორც დარგის, ფართო აღქმის უნარი, აცნობიერებს აღნიშნული დარგის კომპლექსურ საკითხებს; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენებს (ნორვეგიულს და შვედურს).

კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი საბაზისო ცოდნა სკანდინავიურ ენათა სტრუქტურაზე (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგადი მახასიათებლების შესახებ; იცის სკანდინავიურ ენათა საერთო ნიშნები; სიღრმისეულად ფლობს საკითხებს გერმანიკული, და მათ შორის სკანდინავიური ენების წარმოშობისა და განვითარების შესახებ;

აცნობიერებს აღნიშნული ენების ადგილს და მნიშვნელობას ინდოევროპულ და მსოფლიოს ენათა სისტემაში;

სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიის ცოდნა, ნორვეგიული და შვედური ლიტერატურის განვითარების მაგალითზე, საუკუნეთა სიღრმიდან მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებამდე, კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს გააცნობიეროს ამ რეგიონის ლიტერატურისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ხასიათის ჟანრული და ესთეტიკური თავისებურებანი და სკანდინავიური ლიტერატურის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

კურსდამთავრებულს შეუძლია: ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება; ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა; საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა **ინგლისურ ენაზე**. ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის; ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური და სამეცნიერო მიზნებისთვის; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალვრო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი ფლობს შესაბამის კომპეტენციათა ერთობლიობას. მას გამომუშავებული აქვს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ფილოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევები. კურსდამთავრებულს ათვისებული აქვს არამარტო ნორვეგიული და შვედურ ენები (რომელთა მეტ-ნაკლებად პარალელურ რეჟიმში შესწავლაც უადრესად ავსებს და ამყარებს თითოეული მათგანის პრაქტიკულ ცოდნას, გამომდინარე ამ ენათა უახლოესი ნათესაობიდან), არამედ, გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების ცოდნა სხვადასხვა ენობრივ დონეზე მას (ბაკალავრს), სურვილის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად უადვილებს სხვა გერმანიკული ენების პრაქტიკულ შესწავლასაც. კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს ურთიერთმონათესავე ენებისა და ეროვნული ლიტერატურების ფაქტებსა თუ პროცესებზე დაკვირვების უნარი; შეუძლია პრაქტიკული მთარგმნელობითი ამოცანის გადაჭრა.

- **დასკვნის უნარი:**

კურსდამთავრებულს აქვს ანალიზის შედეგად დასკვნის გაკეთების უნარი; შეუძლია ტექსტის ენობრივი და ლიტერატურული ინტერპრეტირება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; აგრეთვე, ხელეწიფება სკანდინავიური ლიტერატურის, ისევე როგორც სკანდინავიური და ცალკეულ

შემთხვევებში, საზოგადოდ, გერმანიკული ენების შესახებ მონაცემების შეგროვება და განმარტება, მათი ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

- **კომუნიკაციის უნარი:**

კურსდამთავრებულს აქვს ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის უნარი; შეუძლია სკანდინავიური ფილოლოგიისა და, ცალკეულ შემთხვევებში, აგრეთვე გერმანიკულ ენებთან დაკავშირებულ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება ან/და მისი ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ, ინგლისურ და პროგრამით შესწავლილ სკანდინავიურ ენებზე, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით. ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო /სასწავლო/ პროფესიულ ჯგუფში, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში სხვადასხვა ტიპის დისკუსიებში მონაწილეობა. შეუძლია ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

- **სწავლის უნარი:**

კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი პროფესიული ლიტერატურიდან კონკრეტული კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი; შეუძლია ახალი ინფორმაციის ანალიზი დარგის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით; ხელეწიფება საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; შეუძლია დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით გარკვეული ცოდნის მიღება ან განახლება; შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია კვლევითი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად; აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

- **ღირებულებები:**

კურსდამთავრებულს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა; ხელეწიფება განსხვავებული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება; შეუძლია, სკანდინავიური სინამდვილის მაგალითზე, განსხვავებული კულტურისა და აზროვნების პატივისცემა; იგი არამარტო მატარებელია ტოლერანტული და დემოკრატიული ღირებულებებისა, რომლითაც ცნობილია სკანდინავიური კულტურა და სინამდვილე, არამედ, შეძენილი ცოდნიდან გამომდინარე, შეუძლია, თავისი პროფესიული საქმიანობის დროს ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მათ ფორმირებასა და დამკვიდრებას. კურსდამთავრებული ჯგუფური მუშაობისას გამოხატავს სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობას; იცავს ინტერპერსონალური და აკადემიური ეთიკის ნორმებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და ა.შ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერიითი მუშაობის მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები:

მხატვრულ-კრიტიკული და მხატვრულ-მთარგმნელობითი საქმიანობა; სათარჯიმნო საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში და არასამთავრობო სექტორში; საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა; პედაგოგიური საქმიანობა (შესაბამისი ერთწლიანი პედაგოგიური პროგრამის გავლისა და მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); საქმიანობა გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ფირმებში; სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტათვის.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი:

კახაბერ ლორია- თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ამავე ფაკ-ის სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი

დამატებითი ინფორმაცია:

- ა) ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: ბაკალავრიატის მეორე სემესტრი;

ბ) სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამაზე- „სკანდინავიური ფილოლოგია“ ნორვეგიული და შვედური ენები არ ჩათვლება საფაკულტეტო ევროპულ ენებად (სავალდებულო 10 ECTS). იმავდროულად მათ ეძლევათ რეკომენდაცია საფაკულტეტო ევროპულ ენებად აირჩიონ საფაკულტეტო გერმანული ან საფაკულტეტო ინგლისური.

გ) სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა: შეზღუდვის გარეშე;

დ) შესაძლებელია პროგრამის კომბინირება თსუ-ს თითქმის ყველა დამატებით საბაკალავრო პროგრამასთან. განსაკუთრებულადაა რეკომენდირებული კომბინირება ფილოლოგიური, განათლების მეცნიერებების და სოციალურ-პოლიტიკური პროფილის დამატებით პროგრამებთან; ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტიდან კი- ტურიზმისა და მასპინძლობის ეტიკეტის დამატებითი პროგრამასთან. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება სკანდინავიური ფილოლოგიის ძირითად პროგრამასთან უფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და აძლევს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს.

ე) პროგრამის საუკეთესო სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სკანდინავიის უნივერსიტეტებში/ უმაღლეს სასწავლებლებში გაიარონ როგორც 4-6 კვირიანი საზაფხულო სასწავლო კურსები, ისე 1-2 სემესტრიანი სტაჟირება (არის მათ მიერ დაგროვილი კრედიტების საქართველოში აღიარების შესაძლებლობაც), ხოლო თსუ-ში საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კი, ოსლოს უნივერსიტეტის ერთწლიანი სპეციალური პროგრამა ნორვეგიული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების მოსამზადებლად უცხოეთის ქვეყნებისათვის და/ან სრული სამაგისტრო პროგრამები ოსლოს ან სკანდინავიის/ევროპის სხვა უნივერსიტეტების/უმაღლესი სასწავლებლების სკანდინავისტიკის ან მონათესავე პროფილის (ევროპისტიკა და სხვა) ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებში.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 3

პროგრამის კონსულტანტები:

მალმეს (შვედეთი) უნივერსიტეტის კულტურისა და საზოგადოების ფაკ-ის სრული პროფესორი **კარინა ვამლინგი**; ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ფრუდე ჰერმუნდსგორდი**. ბერგენის (ნორვეგია) უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკ-ის პროფესორ-ემერიტუსი **იუსტაინ ბიორტენსი**.

პროგრამის ფარგლებში პედაგოგიურ საქმიანობას განხორციელებენ:

კახაბერ ლორია- თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ამავე ფაკ-ის სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი
თინათინ მარგალიტაძე- თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ-ს საუნივერსიტეტო ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელი
ნანი გაფრინდაშვილი- თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ლევან ცაგარელი- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (თსუ-ში მოწვეული ლექტორის სტატუსით)

ფრუდე ჰერმუნდსგორდი- ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, აღნიშნულ დეპარტამენტსა და თსუ-ს სკანდინავისტიკის ცენტრს შორის თანამშრომლობის საგრანტო პროექტის ნორვეგიელი ხელმძღვანელი

ქეთევან სიხარულიძე- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი (მოწვევით)

თამარ კვიციანიძე- მაგისტრი, თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრის თანამშრომელი საგრანტო პროექტის ფარგლებში

ლია ჩაფიძე- მაგისტრი, თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრის თანამშრომელი საგრანტო პროექტის ფარგლებში

ტრისტან მახაური- ფილოლოგიის დოქტორი (მოწვევით)

თამარ მაისურაძე- მაგისტრი (მოწვევით)

მარიამ ნოღია- მაგისტრი (მოწვევით)

ნინო ბარძიმაშვილი- თსუ-ს შედარებითი ლიტმცოდნეობის პროგრამის დოქტორანტი (მოწვევით)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური

რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 4

ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტსა და თსუ-ს სკანდინავისტიკის ცენტრს შორის თანამშრომლობის საგრანტო პროექტი თსუ-ში სკანდინავისტიკა/ნორვეგისტიკის შემდგომი განვითარების მიზნით. (ფინანსდება უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრის ევრაზიის პროგრამიდან. კოორდინატორები: ფრუდე ჰერმუნდსგორდი და კახაბერ ლორია)

თსუ-ს და მალმეს (შვედეთი) უნივერსიტეტს შორის ჰუმანიტარულ და სოციალურ- პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროში გაცვლითი (მასწავლებლები/სტუდენტები) თანამშრომლობის საგრანტო შვედური პროექტი („ლინუს- პალმეს“ პროგრამა. კოორდინატორები: კარინა ვამლინგი და კახაბერ ლორია)

საბაკალავრო პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია

თსუ-ს ბიბლიოთეკაში. იმავდროულად, თსუ -ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრს აქვს კარგად გამართული

კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, თანამედროვე ვიდეო და აუდიოტექნიკა, მდიდარი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა.

თანამშრომლობის სკანდინავიური პროექტების დახმარებით ხელმისაწვდომია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო,

ფაქტობრივად, ნებისმიერი ხასიათისა და დონის სასწავლო, კვლევითი თუ სხვა სახის მასალა.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

აღწერა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. პროგრამას მხარდაჭერას უწევს თსუ-ში სკანდინავიურ სწავლებების განმტკიცებაზე მიმართული ოსლოს უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტსა და თსუ-ს სკანდინავისტიკის ცენტრს შორის თანამშრომლობის საგრანტო პროექტიც, რომელიც ფინანსდება უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრის ევრაზიის პროგრამიდან.

პროგრამა ფინანსურად მდგრადი და სტაბილურია. უზრუნველყოფილია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა, მუდმივი განახლება და სრულყოფა, საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ-მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სკანდინავიური ფილოლოგია / Scandinavian Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ESTC კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, შეასწავლოს სტუდენტს სკანდინავიური ენები (ნორვეგიული როგორც ძირითადი და შვედური როგორც მეორე ენა) და ლიტერატურა, მისცეს გარკვეული ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. გაუღვივოს ინტერესი ამ მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილების ქართულ სინამდვილეში გამოყენებისათვის. სკანდინავიური ფილოლოგიის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის გავლა სტუდენტს მისცემს დასაქმების დამატებით შესაძლებლობებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება:

პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა სკანდინავიურ ენათა სტრუქტურაზე (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებზე; ცოდნა გერმანიკული, და მათ შორის სკანდინავიური ენების წარმოშობისა და განვითარების თაობაზე, ისევე როგორც მათ ადგილზე ინდოევროპულ და მსოფლიოს ენათა სისტემაში;

სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიის გაცნობა, ნორვეგიული ლიტერატურის ერთი პერიოდის მაგალითზე, კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს გააცნობიეროს ამ რეგიონის ლიტერატურისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ხასიათის ჟანრული და ესთეტიკური თავისებურებანი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: კურსდამთავრებულს გარკვეულ დონეზე ათვისებული აქვს არამართო ნორვეგიული და შვედური ენები (რომელთა პარალელურ რეჟიმში შესწავლაც უაღრესად ავსებს და ამყარებს თითოელი მათგანის პრაქტიკულ ცოდნას, გამომდინარე ამ ენათა უახლოესი ნათესაობიდან), არამედ, გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების შესწავლა სხვადასხვა ენობრივ დონეზე მას (კურსდამთავრებულს), სურვილის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად უადვილებს სხვა გერმანიკული ენების პრაქტიკულ შესწავლასაც. კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს მონათესავე ენების ფაქტებზე დაკვირვების უნარიც.

დასკვნის უნარი: კურსდამთავრებულს შეუძლია სკანდინავიური და მეტ-ნაკლები წარმატებით, საზოგადოდ, გერმანიკული ენების შესახებ მონაცემების შეგროვება და განმარტება, მათი ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი: კურსდამთავრებულს შეუძლია სკანდინავიური ფილოლოგიისა და, აგრეთვე, გერმანიკულ ენებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება ან/და მისი ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და ნორვეგიულ (გარკვეულწილად, ასევე შვედურ) ენებზე, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებითაც.

სწავლის უნარი: კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ლიტერატურიდან საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

ღირებულებები:

კურსდამთავრებული არის არამარტო მატარებელი ტოლერანტული და დემოკრატიული ღირებულებებისა, რომლითაც ცნობილია სკანდინავიური სინამდვილე, არამედ, შეძენილი ცოდნიდან გამომდინარე, შეუძლია, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მათ ფორმირებასა და დამკვიდრებას. კურსდამთავრებული ჯგუფური მუშაობისას გამოხატავს სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობას; იცავს ინტერპერსონალური და აკადემიური ეთიკის ნორმებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, დასკვნითი გამოცდის და ა.შ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ამავე ფაკ-ის სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი- კახაბერ ლორია

დამატებითი ინფორმაცია:

- ა) დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: ბაკალავრიატის მეოთხე სემესტრი;
- ბ) სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა: შეზღუდვის გარეშე;
- გ) სასწავლო პროგრამის განმავლობაში საუკეთესო სტუდენტებმა სკანდინავიური მხარის დაფინანსებით შეიძლება გაიარონ 4-6 კვირიანი სასწავლო კურსი სკანდინავიის უნივერსიტეტების

საზაფხულო სკოლებში და გრძელვადიანი (1-2 სემესტრი) სტაჟირება ხსენებული სასწავლებლების სკანდინავიისტიკის ან მონათესავე პროფილის ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებში.

დ) ზემოაღნიშნული დამატებითი (Minor) პროგრამა სკანდინავიურ ფილოლოგიაში შეიძლება წარმატებით იყოს კომბინირებული ძირითადი სპეციალობის პროგრამებთან არამართო იმავე ფაკულტეტზე, არამედ თსუ-ს სხვა ფაკულტეტებიდანაც (მაგ. სოციალურ- პოლიტიკურ მეცნიერებათა ან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების პროგრამებთან).

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **სკანდინავიური ფილოლოგია**

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **სრული პროფესორი კახაბერ ლორია**

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **N 57/2011**

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია- პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადება	დასკვნითი გამოცდის მოსამზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	

ფრანგული ენა B1.1	5	60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.2 ან ტესტი	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ფრანგული ენა B1.2	5	60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.1	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ფრანგული ენა B2.1	5	60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.2 ან ტესტი	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ფრანგული ენა B2.2	5	60	45	8	10	2	ფრანგული ენა B2.1	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ესპანური ენა (საფაკულტეტო)	10								
ესპანური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ესპანური ენა 2	5	60	45	8	10	2	ესპანური ენა 1	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენა (საფაკულტეტო)	10								
იტალიური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
იტალიური ენა 2	5	60	45	8	10	2	იტალიური ენა 1	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
რუსული ენა (საფაკულტეტო)	10								
რუსული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
რუსული ენა 2	5	60	45	8	10	2	რუსული ენა 1	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ახალი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	10								
ახალი ბერძნული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ახალი ბერძნული ენა 2	5	60	45	8	10	2	ახალი ბერძნული ენა 1	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
შვედური ენა (საფაკულტეტო)	10								
შვედური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	ლია ჩაფიძე, თამარ მაისურაძე, ლევან ცაგარელი
შვედური ენა 2	5	60	45	8	10	2	შვედური ენა 1	✓	ლია ჩაფიძე, თამარ მაისურაძე, ლევან ცაგარელი
ნორვეგიული ენა (საფაკულტეტო)	10								
ნორვეგიული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓ კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანიძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი
ნორვეგიული ენა 2	5	60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1	✓	✓ კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანიძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი
პოლონური ენა (საფაკულტეტო)	10								

თურქული ენა1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
თურქული ენა2	5		60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ებრაული ენა (საფაკულტეტო)	10										
ებრაული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
ებრაული ენა 2	5		60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
იაპონური ენა (საფაკულტეტო)	10										
იაპონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
იაპონური ენა 2	5		60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ჩინური ენა (საფაკულტეტო)	10										
ჩინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
ჩინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)	10										
ახალი სომხური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
ახალი სომხური ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი

საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)

შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ირმა რატიანი
შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ხაჩიძე, ა. ხარანაული
შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	

შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)											
ლიტერატურის თეორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	
ლინგვისტური კომპარატივისტიკა	5	30	30	45	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი		✓	
მსოფლიო ლიტერატურის ისტორია	5										
ქართული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ანტიკური ლიტერატურის ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
რუსული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ინგლისური ლიტერატურის ისტორია (მოკლე კურსი, ინგლისურ ენაზე)	5	15	15	75	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა გელაშვილი
ფრანგული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
იტალიური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ესპანური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5										
თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ეკატერინე ნავროზაშვილი

სპეციალობის სავალდებულო კურსები – 80									კრედიტი (ECTS)			
ნორვეგიული ენა 1 (საფაკულტეტო)	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი	
ნორვეგიული ენა 2 (საფაკულტეტო)	5		60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1 (საფაკულტეტო)	✓	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი	
ნორვეგიული ენა 3	5		90	22	6	5	2	ნორვეგიული ენა 2 (საფაკულტეტო)		✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი	
ნორვეგიული ენა 4	5		90	22	6	5	2	ნორვეგიული ენა 3	✓		კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი	
ნორვეგიული ენა 5	5		90	22	6	5	2	ნორვეგიული ენა 4		✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი	
ნორვეგიული ენა 6	5		90	22	6	5	2	ნორვეგიული ენა 5	✓		კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი	
შვედური ენა 1 (საფაკულტეტო)	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ლია ჩაფიძე, თამარ მაისურაძე, ლევან ცაგარელი	
შვედური ენა 2 (საფაკულტეტო)	5		60	45	8	10	2	შვედური ენა 1 (საფაკულტეტო)		✓	ლია ჩაფიძე, თამარ მაისურაძე, ლევან ცაგარელი	
შვედური ენა 3	5		90	22	6	5	2	შვედური ენა 2 (საფაკულტეტო)	✓		ლია ჩაფიძე, თამარ მაისურაძე, ლევან ცაგარელი	

სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია (ნორვეგიული ლიტერატურა უძველესი დროიდან 1890-იან წლებამდე)	5	15	15	75	8	9	3	ნორვეგიული ენა 3 შვედური ენა 1 (საფაკულტეტო)	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი
სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია (ნორვეგიული ლიტერატურა 1890-იანი წლებიდან დღემდე)	5	15	15	75	8	9	3	ნორვეგიული ენა 3 შვედური ენა 1 (საფაკულტეტო)	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი
სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია (შვედური ლიტერატურა უძველესი დროიდან 1900-იან წლებამდე)	5	15	15	75	8	9	3	შვედური ენა 3 ნორვეგიული ენა 1 (საფაკულტეტო)	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, ლევან ცაგარელი
სკანდინავიური ლიტერატურის ისტორია (შვედური ლიტერატურა 1900-იანი წლებიდან დღემდე)	5	15	15	75	8	9	3	შვედური ენა 3 ნორვეგიული ენა 1 (საფაკულტეტო)	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, ლევან ცაგარელი,
გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები	5	15	15	79	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	თინათინ მარგალიტაძე
საბაკალავრო ნაშრომი	10								✓	
სპეციალობის არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)										
სკანდინავიური ენების ისტორია	5	15	15	75	8	9	3	ნორვეგიული ენა 4 შვედური ენა 3 გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, ლევან ცაგარელი, ლია ჩაფიძე, თამარ მაისურაძე, ნინო ბარძიმაშვილი, მარიკა ნოდია, თამარ კვიციანაძე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		ნანი გაფრინდაშვილი
ხალხური და ლიტერატურული ბალადა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		ტრისტან მახაური
შედარებითი მითოლოგია	5	30	15	64	4	9	3	წინაპირობის გარეშე		ქეთევან სიხარულიძე
ევროპის ხალხთა ეთნოლოგია (ეთნოლოგიის პრგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	რ. თოფჩიშვილი

ადრეული შუასაუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა (ისტორიის პროგრამიდან)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		პროფ. ბ. ჯავახია
გვიანი შუა საუკუნეები და აღორძინების ეპოქა (ისტორიის პროგრამიდან)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	პროფ. ბ. ჯავახია
შუასაუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის ხელოვნება ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამიდან	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე			ნ. სილაგაძე
ანტიკური მითოლოგია (კლასიკური ფილოლოგიის პროგრამიდან)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	რ.ცანავა
ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1550-1789) (ისტორიის პროგრამიდან)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ასოც. პროფ. მ. კალანდაძე
ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1789- 1914) (ისტორიის პროგრამიდან)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ასოც. პროფ. მ. კალანდაძე
ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1914- 1945) (ისტორიის პროგრამიდან)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		პროფ. თ. პაპასქირი
ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1945- დღემდე) (ისტორიის პროგრამიდან)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	პროფ. თ. პაპასქირი
მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორია (ეთნოლოგიის პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	რ. თოფჩიშვილი
ხელოვნების ფილოსოფია (ფილოსოფიის პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	კ. კაციტაძე
ენის ფილოსოფია (ფილოსოფიის პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	ფილოსოფიის შესავალი		✓	მ. ბიჭაშვილი

თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)

სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.

დამატებითი პროგრამა — სკანდინავიური ფილოლოგია — (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ს	ს								
	ნორვეგიული ენა 1 (საფაკულტეტო)	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოღია, ნინო ბარძიმაშვილი
	ნორვეგიული ენა 2 (საფაკულტეტო)	5		60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1 (საფაკულტეტო)	✓	✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოღია, ნინო ბარძიმაშვილი
	ნორვეგიული ენა 3	5		90	22	6	5	2	ნორვეგიული ენა 2 (საფაკულტეტო)		✓	კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოღია, ნინო ბარძიმაშვილი
	ნორვეგიული ენა 4	5		90	22	6	5	2	ნორვეგიული ენა 3	✓		კახაბერ ლორია, ფრუდე ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოღია, ნინო ბარძიმაშვილი
	შვედური ენა 1 (საფაკულტეტო)	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ლია ჩაფიძე, თამარ მაისურაძე, ლევან ცაგარელი
	შვედური ენა 2 (საფაკულტეტო)	5		60	45	8	10	2	შვედური ენა 1 (საფაკულტეტო)		✓	ლია ჩაფიძე, თამარ მაისურაძე, ლევან ცაგარელი
	გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები	5	15	15	79	4	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	თინათინ მარგალიტაძე
	სკანდინავიური ლიტერატურის	5	15	15	75	8	9	3	ნორვეგიული ენა 3		✓	კახაბერ ლორია, ფრუდე

ისტორია (ნორვეგიული ლიტერატურა 1890-იანი წლებიდან დღემდე)								შვედური ენა 1 (საფაკულტეტო)			ჰერმუნდსგორდ, თამარ კვიციანაძე, მარიამ ნოდია, ნინო ბარძიმაშვილი
არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)											
სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი											

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა  _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი